ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3243364

ნომერი: AR1499646

თარიღი : 29.04.2017

გაცემის თარიღი : 04.05.2017

გაცნობის თარიღი : 04.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერმონტოვი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2780505
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.08.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. N10–ში საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18.04.2017წ. ბ-19/01170883105-17 ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების და ფოტომასალის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სამუშაოები არ არის დასრულებული (დასასრულებელია ფასადების მოპირკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსაწყობია აივნის მოაჯირი და სხვ.), მნიშვნელოვნად შეცვლილია შენობის კონსტრუქციული ელემენტები (შენობის გასამაგრებლად მოწყობილია ლითონის მილკვადრატები, შეცვლილია კოლონების კვეთები და სხვ.), შიდა ეზოს ტერიტორიაზე გაუქმებულია გამწვანების ფართი და მოწყობილია ბეტონის საფარი, რაც გავლენას ახდენს კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობზე, 3.60 ნიშნულზე 8-8 ღერძზე მოწყობილია ფრამუგა, +3.20 ნიშნულზე ა-ბ მონაკვეთში 3-3 ღერძთან მოწყობილია აივანი, ასევე +7.05 ნიშნულზე ა-ბ მონაკვეთში 3-3 ღერძთან შეცვლილია აივნის გაბარიტები, ხოლო +14.55 ნიშნულზე აივანი გაზრდილია სიგანეში - შესაძლოა დარღვეული იყოს სამეზობლო მიჯნის ზონაში განთავსების წესები, ვ-ა ფასადზე ვ-ე მონაკვეთში მოწყობილია წყლის მილი - გაურკვეველია მილი მოწყობილი თუ არის საკადასტრო საზღვრებში და ხვდება თუ არა ნალექები მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

გაცნობებთ, რომ საჭიროა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება, რისთვისაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში და წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია, მათ შორის, დარღვევისათვის გამოცემული აქტი და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი, ხოლო სამეზობლო მიჯნის ზონაში შენობის განთავსების წესების დარღვევის შემთხვევაში მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრის შესაბამისი თანხმობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.